თქვენს წიგნში არის ერთი აიათი, რომელსაც კითხულობთ. ის რომ ჩვენზე,იუდეველებზე, ყოფილიყო გარდმოვლენილი, ჩვენ იმ დღეს დღესასწაულად ვაქცევდით

უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომელმაც თქვა: ერთმა იუდეველმა უთხრა მას (უმარს, ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით): — მორწმუნეთა მმართველო! თქვენს წიგნში არის ერთი აიათი, რომელსაც კითხულობთ. ის რომ ჩვენზე,იუდეველებზე, ყოფილიყო გარდმოვლენილი, ჩვენ იმ დღეს დღესასწაულად ვაქცევდით. უმარმა ჰკითხა: — რომელი აიათია ის? მან უპასუხა: — {დღეს მე სრულყავი თქვენთვის თქვენი რელიგია, სრულად გიბოძეთ თქვენზე ჩემი წყალობა და თქვენთვის ისლამის რჯულით ვარ კმაყოფილი} (სურა «ალ-მაიდა», 3). მაშინ უმარმა თქვა: — ჩვენ ვიცით ის დღე და ის ადგილი, სადაც ეს აიათი მოევლინა მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მს): (ამ დროს) იგი იდგა არაფათის გორაზე პარასკევის დღეს.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ერთი იუდეველი მივიდა მორწმუნეთა მმართველთან უმართან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და უთხრა მას: არის ერთი აიათი თქვენი წიგნიდან რომელსაც კითხულობთ, ის ჩვენზე რომ გარდმოვლენილიყო -იუდეველებზე- ჩვენს წიგნში თავრათში, იმ დღეს ჩვენ დღესასწაულად ვაქცევდით და მის აღნიშნას დავიწყებდით; იმ დიდი წყალობის და მადლიერების გამო, რომელიც ამ ძვირფას აითშია მოცემული, უმარმა (ალლაჰი იყოს მისით კამყოფილი) უთხრა მას: რომელია ეს აიათი? თქვა: {დღეს მე სრულვჰყავი თქვენი რჯული, სრულად გიბოძეთ ჩემი წყალობა და თქვენთვის ისლამის რჯულით ვარ კმაყოფილი}. უმარმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ჩვენ ვიცით დღე, როდესაც ის გარდმოევლინა და ადგილიც, სადაც ეს ძვირფასი აიათი გარდმოევლინა, ეს აიათი დღესასწაულის (ბაირამის) დღეს გარდმოევლინა, ეს იყო პარასკევ დღეს მაშინ, როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არაფატის მთაზე იმყოფებოდა, ეს დღეები (ორი დღე) არის ძვირფასი დღესასწაულის დღეები მუსლიმთათვის.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65298